



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 15

02/03/2017

საქსტატიში ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებებისა და ხელწერილის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N406 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცებულ იქნას თანდართული „საქსტატიში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები, სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ“.
2. ადმინისტრაციული სამმართველოს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ საქსტატიში დასაქმებულ პირთათვის ამ ბრძანების გაცნობა და მათ მიერ დანართის ხელმოწერა ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.
3. სამსახურებრივი (თანამდებობრივი) აუცილებლობიდან გამომდინარე, დასაქმებული შეიძლება ნაწილობრივ გათავისუფლდეს ამ ბრძანებით დამტკიცებული ხელწერილის „ბ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან ინფორმაციის (მონაცემების) კონფიდენციალობის დაცვის პირობით, რაც განისაზღვრება ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ), გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

მერი დაუშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები, სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ

ვაცნობიერებ რა დაკისრებულ პასუხისმგებლობას და სტატისტიკის წარმოების მიზნით მიღებული (შეგროვებული) ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი კონფიდენციალურობის აუცილებლობას, ვაცხადებ თანხმობას დავიცვა შემდეგი ვალდებულებები:

ა) არ გავასაჯაროო, მესამე პირებს (ოჯახის წევრების ჩათვლით) არ გადავცე ან ზეპირსიტყვიერად არ ვაცნობო, პირადი ან მესამე პირთა ინტერესებისათვის არ გამოვიყენო ნებისმიერი სახის იდენტიფიცირებადი ინფორმაცია, რომელიც ჩემთვის ცნობილი გახდება საქსტატში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს და შეიცავს სტატისტიკური დაკვირვების (კვლევის) ობიექტის პერსონალურ, ეკონომიკურ (ქონებრივ), სოციალურ ან/და სხვა მონაცემებს;

ბ) არ მოვახდინო კონფიდენციალური ინფორმაციის (მონაცემების) სამსახურებრივი ადგილიდან გატანა, ასლის შექმნა, ელექტრონულ ან მატერიალურ მატარებელზე გადატანა, ელექტრონული ფოსტით გაგზავნა ან სხვა მოქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის იდენტიფიცირებადი ინფორმაციის კონფიდენციალურობას, გარდა ზემდგომი უფლებამოსილი პირის დავალების შემთხვევისა;

გ) მესამე პირთა მცდელობის შემთხვევაში, მიიღონ ჩემგან კონფიდენციალური ინფორმაცია, აღნიშნულის შესახებ შევატყობინო უშუალო ან/და ზემდგომ ხელმძღვანელ პირს;

დ) სამუშაო ადგილზე ვუზრუნველყო კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირებისთვის მიუწვდომლობა, მათ შორის საქსტატში დასაქმებულებისთვის;

ე) არ დავაკავშირო სამსახურებრივი კომპიუტერი (ნებისმიერი სხვა ტექნიკური/ელექტრონული მოწყობილობა) გარეშე პირთა კომპიუტერთან, სხვა ტექნიკურ/ელექტრონულ მოწყობილობასთან ან/და ელექტრონულ სისტემასთან. პირადად ან მესამე პირების დახმარებით არ მოვახდინო შიდა კომპიუტერული ქსელის დაცვის სისტემის ბლოკირება ან/და მისი გამართულად მუშაობისთვის საფრთხის შექმნა. სამსახურებრივ კომპიუტერზე (ნოუთბუქზე, ტაბზე) არ დავაყენო (დავაინსტალირო) პროგრამები ან/და პროგრამების გაფართოებები, საქსტატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს წინასწარი თანხმობის გარეშე;

ვ) „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით შევასრულო სამსახურებრივი ინსტრუქციები, მეთოდური სახელმძღვანელოები, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უშუალო ან საქსტატის ხელმძღვანელ პირთა მითითებები;

ზ) ინფორმაციის (მონაცემების) კონფიდენციალურობა დავიცვა, როგორც საქსტატში საქმიანობისას, საქმიანობის შეჩერების და სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ;

თ) ამ დოკუმენტის „ა-ზ“ პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სხვა ნებისმიერი ქმედებით ან უმოქმედობით არ დავარღვიო ინფორმაციის (მონაცემების) კონფიდენციალურობა ან არ შევქმნა ასეთის საფრთხე.“

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის კონფიდენციალურად ითვლება:

ა) ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი რომელიც შეგროვებულია (მიღებულია) სტატისტიკის წარმოების მიზნით და მათი მეშვეობით შესაძლებელია პირის (ფიზიკური, იურიდიული ან ნებისმიერი სხვა ერთეული ან მათი ერთობლიობა) იდენტიფიცირება ან რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა.

ბ) პერსონალური მონაცემები - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ პირს და მისი მეშვეობით შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

გ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

დ) ეკონომიკური (ქონებრივი) მონაცემები - პირის შემოსავლები, ხარჯები, მატერიალური და არამატერიალური აქტივი, ფულადი სახსრები და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შიცავს პირის მატერიალური მდგომარეობის განმსაზღვრელ მონაცემებს, სრულად ან ნაწილობრივ.

ხელმოწერი გაფრთხილებულია, რომ ამ დოკუმენტით აღიარებული ვალდებულებების ან/და დადგენილი პირობების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს საქსტატთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, შრომის შინაგანაწესით ან/და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

ამ დოკუმენტის ვალდებულებითი ნაწილი მომზადებულია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტის დებულებების საქართველოს კანონმდებლობასთან კოლიზიის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ეს დოკუმენტი შედგენილია ორ პირად და ხელმოწერილია. ერთი პირი გადაეცა დასაქმებულს, ხოლო მეორე ინახება საქსტატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში, დასაქმებულის პირად საქმეში.

სახელი, გვარი -----

პ/ნ -----

(სტრუქტურული ერთეული და თანამდებობა)

ხელმოწერა , თარიღი -----

სამმართველოს/ტერიტორიული ორგანოს უფროსი -----

/სახელი, გვარი/

ხელმოწერა